სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას თხუთმეტი წლის ოცდაერთ თებერვალს მე, ნოტარიუსს ნანი სიდამონიძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №27-ში, მომმართა ბატონმა *ივანე მეზვრიშვილმა შ.პ.ს. " ვიტა"ს (ს/კ № 400009780) დირექტორმა* რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად *ივანე მეზვრიშვილმა (დაბ. 19.06.1961 წ, პ № 36001001704, მისამართი :* საგარეჯო სათავის ქ. N 51) მომმართა .

მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. აგრთვე შევამოწმე ის ფაქტი რომ ივანე მეზვრიშვილი უფლებამოსილია წარმოადგინოს შ.პ.ს. " ვიტა" თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან , ამონაწერის მომზადების თარიღი 17.12.2014წ. 17.33.37) მე, ნოტარიუსმა ნანი სიდამონიძემ, წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მარწმუნებელს და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდოგილობა

ორიათას თხუთმეტი წლის ოცდაერთ თებერვალს *ივანე მეზვრიშვილმა როგორც შ.პ.ს. " ვიტა"ს (ს/კ № 400009780) დირექტორმა* რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც „მარწმუნებელი", წინამდებარე მინდობილობით *აბესალომ ჩხეიძეს (დაბ. 03.03.1960წ, პ № 01008004641, მისამართი :* საქართველო, ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძეს გამზირი, N 75, კორპუსი 3, ბინა 1) რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც „რწმუნებული", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. რწმუნებული უფლებამოსილია იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, მათ შორის მერიაში, საკრებულოში, გამგეობაში, ეკონომიკის სამინისტროში, არქივში, საპროექტო და არქიტექტურის სამსახურში, შეაგროვოს საჭირო დოკუმენტები, ჩააბაროს საბუთები, გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, მოიპოვოს ყველა საჭირო დოკუმენტები რაც დაკავშირებული იქნება მისამართზე : ქ. თბილისი, მეტრო სარაჯიშვილის მიმდებარე ტერიტორიაზე - მშენებლობის ნებართვის მიღებასთან.
2. რწმუნებული უფლებამოსილია მიიღოს დამტკიცებული პროექტი .
3. ამ მინდობილობით რწმუნებულს უფლება არა აქვს თავის შეხედულებისამებრ აღნიშნული რწმუნება გადასცეს სხვა პირებს.
4. ეს მინდობილობა გაცემულია სამი თვის ვადით და ძალაშია 21.05.2015 წლის ჩათვლით.
5. მინდობილობა შედგენილია სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია – 13.80 ლარი, აქედან: სანოტარო საზღაური : 10 (ათი) ლარი , თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლისა, დღგ 1.80 ლარი და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი: ივანე მეზვრიშვილი

ნოტარიუსი: _____ / ნანი სიდამონიძე /

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

57895020063015

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N150168597

რეგისტრაციის თარიღი

21.02.2015 წ

ნოტარიუსი: ნანი სიდამონიძე
მისამართი: ქ. თბილისი, დ.გურამიშვილის გამზ #27
ტელეფონი: 593-32-67-97

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18